საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №84/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 12 აგვისტოს №84 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 08 ოქტომბრის №84/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- ბოროტად ისარგებლა მოსამართლის უფლებამოსილებით. კერძოდ, 2020 წლის 23 ივლისის წინასასამართლო სხდომაზე, ბრალდებული -- -- აიძულა ეღიარებინა მისთვის წარდგენილი ბრალდება. ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებით, ამავე სასამართლო სხდომაზე მოსამართლე უხეშად ჩაერია ადვოკატის საქმიანობაში და სასამართლო სხდომაზე მოახდინა მისი დისკრედიტაცია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 23 ივლისს, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- წინასასამართლო სხდომაზე განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს №-- -- მიმართ. სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ადვოკატი -- --.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობის 16:25:41 საათზე, მოსამართლე -- -- დაინტერესდა ბრალდებული ცნობდა თუ არა თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რაზეც ბრალდებულმა სასამართლოს გასცა ორაზროვანი პასუხი, კერძოდ, განაცხადა, რომ „არ ცნობს თავს დამნაშავედ, თუმცა შესაძლოა მის მიერ ჩადენილი ქმედება კანონს ეწინააღმდეგებოდა.“

ბრალდებულის ზემოაღნიშნული განმარტების მოსმენის შემდეგ, მოსამართლემ ბრალდებულს განუმარტა დანაშაულის აღიარების მნიშვნელობა და დამატებით დაუსვა დამაზუსტებელი კითხვა ბრალდებულს - ცნობდა თუ არა იგი თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლო სხდომის 16:29:28 საათზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი კანონის მიხედვით თავს დამნაშავედ ცნობდა.

ბრალდებულის ზემოაღნიშნული განცხადების მოსმენის შემდეგ, სასამართლომ განაგრძო სისხლის სამართლის საქმის განხილვა, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

სასამართლო სხდომის 16:30:32 წუთზე ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ადვოკატმა -- -- საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, გარდა ადვოკატის ორდერისა, გახადა სადავოდ.

მას შემდეგ რაც სასამართლომ მოისმინა ადვოკატის პოზიცია მტკიცებულებათა სადავოდ გახდის თაობაზე, მოსამართლემ მიმართა ბრალდებულს და განუმარტა, რომ ადვოკატის პოზიცია მტკიცებულებათა სადავოდ გახდის თაობაზე და ამავდროულად ბრალის აღიარების ფაქტი წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთად და სთხოვა დაცვის მხარეს შეჯერებულიყვენენ ერთ პოზიციაზე. ამასთან, აღნიშნული მიზნით, სასამართლო სხდომის 16:39:41 საათზე გამოაცხდა შესვენება და სასამართლო დაცვის მხარეს მისცა დამატებითი დრო ერთმანეთან კომუნიკაციისთვის.

შესვენების დასრულების შემდეგ, ადვოკატმა -- -- საბოლოოდ დააფიქსირა დაცვის მხარის პოზიცია და განაცხადა, რომ ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულებას ხდიდა სადავოდ.

დაცვის მხარის პოზიციის მოსმენის შემდეგ, სასამართლომ 16:44:36 საათზე, დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, დაცვის მხარის პოზიციის გათვალისწინებით, ყველა მტკიცებულება დაამტკიცა სადავო მტკიცებულებად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 8 ოქტომბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 12 აგვისტოს №84 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცომის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, ხოლო წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს კანონით განსაზღვრული სანქცია.

ბანგალორის პრინციპების თანახმად, სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას... თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას.[1]

ამასთან, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხილის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეს წინასასამართლო სხდომაზე უფლება აქვს გაარკვიოს ცნობს თუ არა თავს ბრალდებული დამნაშავედ.[2]

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ საქმის მასალების დეტალური შესწავლის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება -- -- მიერ დისციპლინურ საჩივარში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემობებს. მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტი. წინასასამართლო სხდომაზე, ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღირების საკითხის გამოკვლევისას მოსამართლე მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

რაც შეეხება მოსამართლის მხრიდან ადვოკატის შესაძლო დისკრედიტაციის ფაქტს, უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საქმის მასალების შესწავლის პროცესში არ გამოვლენილა რაიმე, რაც დაადასტურებდა მსგავსი ფაქტის არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების

[1] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 196, §215

[2] იხ. საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილი

შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №84/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი